

ლია თუშური, ნინო შარაშვილი,  
იქა დონაძე, ჯუანშვარ წიქარიშვილი

## ქართული ენა და ლიტერატურა

10

მოსწავლის ციხი  
|| ნაცილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
მიერ 2022 წელს.



გამომცემლობა „დიოგენე“

ლია თუშური, ნინო შარაშენიძე, ეკა დონაძე, ჯუანშერ წიქარიშვილი  
ძარღვის ენა და ლიტერატურა 10

მოსწავლის წიგნი

II ნაწილი

რედაქტორები: ლალი ბაქრაძე, სოლომონ ნოზაძე

დიზაინი და დაკაბადონება: ეკატერინე თორელი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022, პირველი გამოცემა

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-753-4

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

# სარჩევი

## პარტ I. ეართული საერო მცირებლება

### თავი I. „პოროფსა სძლია კეთილმან“

1. ვისუაროთ საერო მცირებლებაზე . . . . .	8
ლიტერატურული მოზაიკა . . . . .	17
2. ცუთხესვების „ვეზნისტყაოსნამზე“ (ლიტერატურული გვარები და ზარებები...) . . . . .	29
3. ასე იცყობოდა ამბავი . . . . .	39
ლიტერატურული მოზაიკა . . . . .	39
4. პირველიავი, ანუ დასაციისი . . . . .	47
„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი . . . . .	49
პარალელები . . . . .	57
5. თინათინის გამაფება, ანუ „იგი წავა და სხვა მოვა ჰურიფასა საბალისროს...“ . . . . .	61
„ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ . . . . .	62
„როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“ . . . . .	62
პარალელები . . . . .	64
6. უცხო მოყვა . . . . .	72
„ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ . . . . .	74
7. ძიების გზაზე . . . . .	79
„თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“ . . . . .	81
„წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა“ . . . . .	81
„ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასვლა“ . . . . .	81
8. უცხო მოყმის ამბავი . . . . .	87
„ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან“ . . . . .	88
„შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა“ . . . . .	88
„ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“ . . . . .	88
„ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა“ . . . . .	88
„წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი პირველი“ . . . . .	88
„წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“ . . . . .	88
9. სატათის როს სილუეტი და უცხლუავი მიზანები და შედეგები . . . . .	96
„წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა“ . . . . .	96
„ნესტანისაგან ტარიელის ხმობა“ . . . . .	96
„წიგნი ხატაელთა მეფისა ტარიელის წინაშე მოწერილი“ . . . . .	97
„ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა“ . . . . .	97
„ტარიელისგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“ . . . . .	97
„წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“ . . . . .	97
„წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი“ . . . . .	97
„ტარიელის ტირილი და დაბნედა“ . . . . .	97
„წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი“ . . . . .	97
10. ამბობი . . . . .	102
„რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“ . . . . .	103
„ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“ . . . . .	103

„ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსვლა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკვლა“.....	103
„ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაქარგვისა“.....	103
პარალელები .. . . . .	110
11. მათ სამთა გმიროს. . . . .	112
„ამბავი ნურადინ ფრიდონისა, ოდეს ტარიელს შეეყარა“ .. . . . .	112
„შველა ტარიელისაგან ფრიდონისა“ .. . . . .	112
„ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“ .. . . . .	112
„ამბავი ავთანდილის არაბეთს შექცევისა .. . . . .	112
12. პნევრძი . . . . .	117
„დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი“.....	118
„ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი“, .. . . . .	118
„ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“ .. . . . .	118
„ლოცვა ავთანდილისა“ .. . . . .	118
„ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა“ .. . . . .	118
13. გული, ცენბა და გონება .. . . . .	122
„ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა“ .. . . . .	122
„ნასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“ .. . . . .	122
„პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“ .. . . . .	122
„მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“ .. . . . .	122
„აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისვლა და ასმათის ნახვა“ .. . . . .	122
14. იმედი . . . . .	125
„ნასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ .. . . . .	125
„ავთანდილისგან ფრიდონისას მისვლა, ტარიელს რომ გაეყარა“ .. . . . .	125
„ნასვლა ავთანდილისგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყრა“ .. . . . .	125
„ამბავი ავთანდილისგან გულანშაროს მისვლისა“ .. . . . .	125
15. ზღვათა სამეცო. . . . .	129
„ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება“ .. . . . .	129
„ნიგნი ფატმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო“ .. . . . .	129
„ნიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მინერილი“ .. . . . .	129
„აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“ .. . . . .	129
„ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქავთაგან შეპყრობისა“ .. . . . .	129
„ნიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მინერილი“ .. . . . .	129
16. ქაჯეთის ციხის აღება .. . . . .	133
„ნიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა“, .. . . . .	134
„ნიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მინერილი“ .. . . . .	134
„ნიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მინერილი“, .. . . . .	134
„ნასვლა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა“, .. . . . .	134
„ტარიელისა და ავთანდილისაგან ნასვლა ფრიდონისასა“, .. . . . .	134
„თათბირი ნურადინ-ფრიდონისა“ .. . . . .	134
„თათბირი ავთანდილისა“ .. . . . .	134
„თათბირი ტარიელისა“ .. . . . .	134
„ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისვლა“ .. . . . .	134
გამოძახილი .. . . . .	141

## კანი II. კაცისა და ქვეყნის პეტი

### თავი II. ცხოვრება რეალობასა და იგავებში

17. „დიდი დამ“ უთვალავი ფერის ძველი ძალის კონცენტრი „გამოღვიძების“ დასაცისი („სიტყვის კონცენტრის გამოღვიძების კონცენტრის დასაცისი“) . . . . .	167
საბას ციკლი . . . . .	171
18. გზა ევროპისკენ . . . . .	178
მოგზაურობა ევროპაში . . . . .	178
გამოძახილი . . . . .	184
19. იგავთის სიბრძნი . . . . .	188
სიბრძნე სიცრუისა . . . . .	194
მეფე ხორასნისა . . . . .	194
უტკბესი და უმწარესი . . . . .	198
მეფე და მხატვარი . . . . .	199
მემკვიდრის აღზრდა . . . . .	201
ქურდი მკერვალი . . . . .	203
მოძღვარი მელი . . . . .	203
მთიული და კაელის ხე . . . . .	204
სოფლის მაშენებელნი . . . . .	204
უსამართლო შირვან-შაჰი . . . . .	206
ენით დაკოდილი . . . . .	208
მეფე და ავსიტყვა . . . . .	208
მეფე და მისი ძენი . . . . .	209
მაოხრებელი მკვდარი . . . . .	210
ძუნნი და ოქრო . . . . .	211
ორნი ძმანი . . . . .	211
ორმოში ჩაგდებული მეფე . . . . .	212
აქლემი და ვირი . . . . .	213
კუ და მორიელი . . . . .	213
ბრძენი და მდიდარი . . . . .	214
დიდგაჭარი და მეფუნდუე . . . . .	218
სამნი ბრმანი . . . . .	219
კაცი და გველი . . . . .	220
კეთილი გველი . . . . .	220
გლახა და მდიდარი . . . . .	221
მოხერხებული არაბი . . . . .	221
პარალელები . . . . .	228

## თავი III. გზა სამშობლოდან სამშობლოსაკენ

20. გზა შინისაპრენ . . . . .	233
დავითიანი . . . . .	236
მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი . . . . .	237
ქართველთა 1 და კახთაგან თავიანთ უფალთან შეორგულება . . . . .	240
საწყაულის მოწყვა ღვთისაგან . . . . .	241
რუსთ ხელმწიფისაგან ქართველთ მეფის ვაწტანგის თავისთან მიპატიჯება . . . . .	245
რჩევა ქართველის ბატონისა . . . . .	246
მტერთაგან მეფის ვახტანგის ყენთან შესმენა და ყენისაგან ქართლის წართმევა და კახის ბატონის მიცემა . . . . .	248
რჩევა კახის ბატონისა . . . . .	249
ნიგნის მიწერა კახის ბატონისაგან ქართველთ ბატონთან: მეგობრობის თხოვნა . . . . .	250
ჩხეუბის ჩამოგდება ქართველის ბატონისა კახს ბატონთან . . . . .	250
კახის ბატონისაგან ბერების მოციქულად გაგ ზავნა ქართველთ ბატონთან და ქართლის თხოვნა . . . . .	251
კახის ბატონის მოციქულების დაჭერა ქართველის ბატონისაგან . . . . .	254
ოსმალოსაგან ქართლის დაჭერა და ქართველის ბატონის რუსეთს წაბდანება . . . . .	256
დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება . . . . .	259
ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან . . . . .	261
სიზმარი დავით გურამისშვილისა ტყვეობასა შინა . . . . .	262
ტყვეობითგან გაპარვა დავითისა . . . . .	263
ოდეს ზეით ხსენებულის გამოქობილ კლდიდამ წამოსულს დავით გურამისშვილს უცხონი შეხვდენ და მათის შიშით მუხლი მოეჭრა . . . . .	263
შეელა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდამ გამოსვლა სარუსეთოში . . . . .	268
მეფის ვახტანგისა და ძისა მისისა ბაქარისა დარუბანდს წაბრძანება . . . . .	271
თამაზ-ხანისაგან შამახიისა და განჯის აღება და ოსმალოსაგან თიფლისის დაცლა . . . . .	273
რუსთაგან გაღმა მხრის დაცლა და მეფის ვახტანგის აშტრახანს გაბდანება . . . . .	274
დავით გურამისშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი . . . . .	275
მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლა და ქართველთ თავადთა და აზნაურთ რუსთ ხელმწიფის სამსახურში განწეულება . . . . .	277
კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანერთის ქვირის ხსენება . . . . .	279
საფლავის ქვაზედ დასანერი . . . . .	281
გამოძახილი . . . . .	283
დანართი 1. საუბრები ლიტერატურაზე . . . . .	290
დანართი 2. ლიტერატურათმცოდნეობითი ცხებები და ტერმინები . . . . .	311
დანართი 3. დამატებითი საკითხები . . . . .	315
დანართი 4. სამახსოვრო . . . . .	327

ଶ୍ରୀକୃତୀମାଲା ଓ ପଦମାଲା ୩୯

୩୯

# I କାରି କାରତୁଳି ସାହରନ ମନେନାନ୍ଦା



ଠାରି I  
,,ଦୟନାତ୍ସା ସମ୍ଭବ କେତୀଲମାନ...“

## ცაპითხვაგდე

## შესავალი საუბარი

## 1. ლიტერატურულ ეპოქათა მიჯნაზე

„ეპოქათა მიჯნა“ ერთხელ უკვე ვახსენეთ, როდესაც ანტიკური ლიტერატურიდან სასულიერო მწერლობაზე გადავდიოდით. ამჯერადაც ლიტერატურულ ეპოქათა გზა-გასაყარზე ვდგავართ, რომლის ერთ მხარეს რჩება სასულიერო ლიტერატურა, ხოლო მეორე მხარეს კი ჩნდება საერო მწერლობა.

სასულიერო მწერლობაზე დაკვირვება ცხადყოფდა, რომ მის წილშივე უჩვეულო ცვლილებები იწყებოდა, ყალიბდებოდა რაღაც სულ სხვა, ახალი ტიპის ლიტერატურა, რომელიც ანტიკურთან მეტ სიახლოეს ამჟღავნებდა, ვიდრე სასულიეროსთან.

მანც რაში მდგომარეობდა ეს ცვლილებები?

- **სულისა და ხორცის დაპირისპირება**

თუ სასულიერო ლიტერატურაში მკვეთრად იდგა **სულისა და ხორცის დაპირისპირების პრობლემა** – წარმავალი სხეული უმნიშვნელოდ მიაჩნდათ, სულის სრულყოფა კი ადამიანის ცხოვრების უმთავრეს მიზნად ესახებოდათ, ნელ-ნელა ამაღლებული სულის გვერდით, გაჩნდა სრულყოფილი სხეულიც (გაიხსენეთ „სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბინო“ გრიგოლ ხანძთელი), რაც ძალიან ჰგავდა ანტიკურ პრინციპს – „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

- **წუთისოფელი და მარადიული სამყოფი**

შეიცვალა დამოკიდებულება **ამქვეყნიური ყოფისადმი**. თუ სასულიერო ლიტერატურაში წუთისოფლური ყოფა მხოლოდ დროებით რეალობად ესახებოდათ, ნელ-ნელა იწყება ფიქრი ღვთაებრივი ნებით შექმნილ სამყაროსა და, აქედან გამომდინარე, ამქვეყნიური ყოფის **მრავალფეროვნებასა და მშვენიერებაზე**.

- **ადამიანის დანიშნულება**

თუ ადრე ადამიანური ყოფის უმთავრეს მიზანს ღვთის ბაძვასა და სასუფევლის დამკვიდრებისათვის ზრუნვაში ხედავდნენ, ნელ-ნელა ამ უმაღლესი სულიერი ღირებულებების გვერდით ამოიზარდა და დამკვიდრდა სხვა – „წუთისოფლური“ – მიზნებიც, კერძოდ, ამქვეყნიური ყოფის მოწესრიგების, მისი „გაუკეთესებისა“ და „გამშვენიერებისკენ“ სწრაფვა.

- **ადამიანი ლიტერატურაში (ანუ სახე-იდეებიდან სახე-ხასიათებისაკენ)**

ადრინდელ (შუა საუკუნეების) ძეგლებში ყურადღება არ ექცეოდა ადამიანის შინაგან განცდებს, მის ინდივიდუალურ ბუნებას და ხაზგასმული იყო მთავარი გმირის – მოწამის – ღვანლი, მოგვიანებით კი მათ გვერდით ჩნდებიან საერო პიროვნებები (მაგალითად, აშოტ კურაპალატი, გუარამ მამთალი), თავიანთი პირადი ცხოვრებითა და მიწიერი მისწრაფებებით, ანუ **სახე-იდეების გვერდით ნელ-ნელა ჩნდება სახე-ხასიათების ჩანასახი** (გაიხსენეთ ეს ცნებები სახელმძღვანელოს პირველი ნაწილიდან, გვ.182).

- **ახალი, მანამდე ტაბუდადებული თემები – მიწიერი სიყვარულის თემა**

ლიტერატურაში ჩნდება სასულიერო მწერლობაში ტაბუდადებული მიწიერი სიყ-

**ვარულის თემა.** იგი თავდაპირველად „აკრძალული და ცოდვილი სიყვარულის“ სახით შემოდის, თუმცა თანამედროვე ადამიანს კარგად ესმის საუკუნეების წინ მცხოვრებ ადამიანთა განცდები, იხატება მათი შინაგანი ემოციური სამყარო, რაც უცხო იყო ჰა-გიოგრაფიული ლიტერატურისათვის.

#### • **რეალობა და მხატვრული გამონაგონი**

რეალობისა და მხატვრული გამონაგონის მიმართ სხვადასხვა ეპოქა განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენდა, მაგალითად, ქრისტიანობამდელ ფოლკლორში წინა რიგში იყო მხატვრული გამონაგონი, მაშინ როცა ჰაგიოგრაფიაში გამონაგონის ადგილს ისტორიული რეალობა იკავებს. ჰაგიოგრაფიული ძეგლის პერსონაჟები რეალური ისტორიული პირები არიან. გარემომცველი რეალობა იმდენად ზუსტად აისახება სასულიერო ლიტერატურაში, რომ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას ისტორიულ წყაროებადაც კი მიიჩნევენ.

თუ ამ კუთხით საერო ლიტერატურას გადავავლებთ თვალს, ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია მისი ზღაპრული სიუჟეტები, საგმირო-სარაინდო ეპოსმა თითქოს ხელახლა გააცოცხლა ფოლკლორული მზეჭაბუკები და მზეთუნახავები. თუმცა სასულიერო ლიტერატურის მიერ აღიარებული უმაღლესი სულიერი ლირებულებებიც არავის დავიწყებია. ეს ეპოქა გამოირჩევა მატერიალური და სულიერი ფასეულობების დაახლოება-შერწყმით. ამიტომაც ლიტერატურის ინტერესის საგანი უკვე ყოველმხრივ იდეალური პერსონაჟი და სამყაროს მშვენიერებაა.

#### • **მწერლობის დაახლოება ხალხურ სამეტყველო ენასთან**

ლიტერატურული ნაწარმოების ენა უფრო და უფრო უახლოვდებოდა ხალხურ სამეტყველო ენას. მხოლოდ ენა კი არა, ლიტერატურაში ფოლკლორიდან შეიქრა სიუჟეტები, მხატვრული სახეები და სალექსო საზომებიც კი (მაგალითად, თექვსმეტმარცვლიანი შაირი).

#### • **იუმორის გაჩენა საერო მწერლობაში**

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა არ იცნობს იუმორს, სიცილს. ჩვენ არ ვიცით, ამ მხრივ, რა მდგომარეობა იყო ქართულ ფოლკლორში, რადგან ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, ე. წ. „კომიკური ეპიზოდები“ უძველესია თუ გვიანდელი ჩანართები.

ერთი რამ კი გადაჭრით შეიძლება ვთქვათ – საერო მწერლობაში, ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერების განცდასთან ერთად, ჩნდება იუმორი, სიცილი, ლალი და ხალისიანი გმირები და გარემო.

#### • **მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემა**

სასულიერო ტექსტების მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემა უმეტესწილად ბიბლიურ ტრადიციას ემყარება, ამიტომაც ჰაგიოგრაფიაში ასე ხშირია წმინდა წერილის პირდაპირი ციტირება, ბიბლიური ალუზები და ბიბლიური სახე-სიმბოლოები.

საერო ლიტერატურაში თითქოს ხელახალი სიცოცხლე შეიძინა **ხალხური ტექსტის მხატვრულმა სახეებმა.** გმირთა ხატვისას აქ ხშირად შეხვდებით შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლებს და სხვ. იდეალური გმირიც ფოლკლორული გმირისა და სასულიერო იდეალის შერწყმით იხატება.

#### • **ქართული საერო ლიტერატურის ქრონოლოგიური ჩარჩოები**

ძველი ქართული საერო მწერლობა, დაახლოებით, X საუკუნის 80-იანი წლებიდან აღმოცენდა და ორ საუკუნეზე მეტსანს ეკავა დომინანტური პოზიცია ქართულ მწერლობაში. ასე გაგრძელდა XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. აქედან, XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედს კლასიკური ხანის სახელით მოიხსენიება.

### 1. წარმოსახვითი მოგზაურობა ლიტერატურულ „ეპოქათა მიჯნაზე“

გთავაზობთ წარმოსახვით მოგზაურობას წარსულში, კერძოდ, X-XIII საუკუნეებში. თქვენი მოგზაურობის მარშრუტის მთავარი მიზანი იქნება, დააკვირდეთ სასულიერო მწერლობის წილში თვისობრივად ახალი მიმართულების, საერო მწერლობის, ჩამოყალიბების პროცესს.

#### ამისათვის:

1. გაიხსენეთ ისტორიის კურსიდან X-XI სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. იმსჯელეთ, რა ადგილი ეჭირა ჩვენს ქვეყანას მაშინდელ მსოფლიოში; გაიხსენეთ, როგორი იყო ქვეყნის საშინაო მდგომარეობა და ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან, მეზობელ სახელმწიფოებთან; შეეცადეთ, პასუხი გასცეთ კითხვას: ამ ეპოქაში რომელი ფაქტორები შეუწყობდა ხელს საერო მწერლობის ჩამოყალიბებას?
2. ისაუბრეთ საქართველოში არსებულ კულტურის კერებზე;
3. მიმოიხილეთ საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერები, ყურადღება გაამახვილეთ მათში მიმდინარე ლიტერატურულ საქმიანობაზე;
4. მოამზადეთ 5-8 წუთიანი პრეზენტაცია „ეპოქა და კულტურა“.



იყალთოს აკადემია



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

#### დაგატებითი რეასურსები

პრეზენტაციისთვის გამოიყენეთ სახელმძღვანელოს დანართში, „საუბრები ლიტერატურაზე“, (დანართი 1) მოცემული სტატია: 1. „ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენება“ (იხ. გვ. 290)



## კომპიუტერთან

- წარმოსახვითი მოგზაურობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ დამატებითი რესურსები:
- ათონის წმინდა მთა – მწვერვალი; გადაცემის ავტორი და წამყვანი დავით ახვლე-დიანი;  
<https://www.youtube.com/watch?v=xESn5aj4hNw>
  - ათონის ივერთა მონასტრის მემკვიდრეობა – ჩვენი საგანძურო  
<https://www.youtube.com/watch?v=DO4i3V72eCA>
  - იყალთოს აკადემია  
<http://edutime.ge/?p=1191>

## ლიტერატურული ძიებანი

### 2. ლიტერატურული კვლევა – ნაცნობიდან უცნობისაკენ


(ჰაგიოგრაფიის მიხედვით, საერო მწერლობაზე)

#### კვლევის საგანის სასულიერო ლიტერატურის საერო პერსონაჟები

თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ არსებული ცოდნის საფუძველზე, შესაძლოა, ივარაუდოთ, წარმოიდგინოთ ან ლოგიკურად გაიაზროთ ბევრი ისეთი საკითხი, რომელზეც საგანგებოდ ჯერ არ დაფიქრებულხართ, ჯერ არ შეგისწავლიათ. ამის საილუსტრაციოდ, კიდევ ერთხელ გადავხედოთ, სასულიერო მწერლობის შესწავლისას მიღებული გამოცდილებით, რა შეიძლება ვივარაუდოთ საერო მწერლობაზე (დავფიქრდეთ, როგორ ავაგოთ ნაცნობის გამოყენებით ახალი, როგორ აღმოვაჩინოთ ის, რაზეც ჯერ საგანგებოდ არ შევჩერებულვართ).

ამისათვის შეეცადეთ, უპასუხოთ კითხვას: როგორ იყო ეს საკითხები წარმოდგენილი სასულიერო მწერლობაში და, სავარაუდოდ, როგორ იქნება იგი წარმოჩენილი საერო მწერლობაში?

სასულიერო ლიტერატურის თავისებურებებს თქვენ უკვე იცნობთ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ინტერესის საგანი, უპირატესად, სარწმუნოებისთვის თავდადებულთა ცხოვრება, მათი პრინციპები და მისწრაფებებია, მაგრამ ამ პერსონაჟთა გვერდით ჩნდებიან, ცხოვრობენ და მოქმედებენ საერო პირებიც. ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ზოგჯერ მათი სურვილები, განცდები და მისწრაფებებიც კი ისე თვალში საცემად ჩანს, რომ მკითხველ-ში მოწონებისა და თანაგრძნობის განცდებს ბადებს.



აშოტ (დიდი) I კურაპალატი (მარცხნივ); მაცხოვარი მაკურთხებელი მარჯვენით და წინასწარმეტყველი დავითი (მარჯვნივ); ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის რელიეფი, IX ს.

ის, რაც ჰაგიოგრაფიაში მეორეხარისხოვანი იყო (მხედველობაში გვაქვს საერო პირთა ცხოვრება), საერო მწერლობაში მთავარი თემა ხდება. სასულიერო მწერლობის ზოგიერთ პერსონაჟზე დაკვირვება საშუალებას მოგცემთ, გამოთქვათ ვარაუდები ჯერ კიდევ უცნობი საერო მწერლობის შესახებ.

დააკვირდით სასულიერო მწერლობის საერო პერსონაჟებს (ვარსქენ პიტიახშე, ჯოჯიკა, ჯოჯიკის ცოლს, ნერსე ერისთავს, ზენონს – ერისკაცობაში, გაბრიელ დაფანჩულს, აშოტ კურაპალატსა და მის შვილებს, „სიძვის დიაცს“, ადარნერსეს სატრფოს, აფხაზთა მეფეს, მირიან დიდაზნაურს, გუარამ მამფალსა და სხვებს) და იმსჯელეთ:

- რით ჰგავს და რით განსხვავდება საეროთა და სასულიეროთა ცხოვრებისეული პრინციპები, მაგალითად:
  - ✓ **რეალური** პირები არიან ისინი, **თუ გამოგონილი** პერსონაჟები? ასევე მნიშვნელოვანია მათი გარემომცველი სამყარო, აქ რეალობა ჭარბობს, თუ მხატვრული გამონაგონი?
  - ✓ როგორ აღიქვამენ ისინი: **ადამიანის ცხოვრების საზრისს** და, საერთოდ, მიწიერ ყოფას (რისთვის მოდის ადამიანი დედამიწაზე, საით მიემართება და როგორ უნდა იცხოვროს, რომ ეს მისია აღასრულოს)?
  - ✓ რაში ხედავენ **წუთისოფლის დანიშნულებას**; რა არის მათთვის წუთისოფელი: რა არის ჩვენი სამყარო, „ქვეყანა“ – ადამიანის ამქვეყნიური მოღვაწეობის ასპარეზი, მისი გამოცდის ადგილი თუ ღვთის საჩუქარი, რომლის ბატონ-პატრონი თავად ადამიანია? ადამიანმა უნდა „გაუძლოს“ წუთისოფელს და „იმქვეყნიური ყოფისთვის მოემზადოს“, თუ, ამავე დროს, უნდა დატებეს ღვთის ქმნილების მშვენიერებით და თავადაც უფრო გაამშვენიეროს იგი?
  - ✓ არის თუ არა ჰაგიოგრაფიულ ტექსტში **ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობის, ხორციელი სიამოვნების ამსახველი ეპიზოდები** და როგორ უყურებს ყოველივე ამას ჰაგიოგრაფიის გმირი? საერო პირი? რა განასხვავებს მათ მსოფლალებას ერთმანეთისგან?
  - ✓ **პერსონაჟის ხატვისას** რა არის უფრო მნიშვნელოვანი – მისი ფიზიკური თუ სულიერი მახასიათებლები, ანუ, რას ენიჭება დიდი მნიშვნელობა – მის ფიზიკურ პორტრეტს თუ სულიერ ხატს?
  - ✓ როგორია პერსონაჟის დამოკიდებულება მიწიერი **სიყვარულისადმი**. რაზე მიგვანიშნებს სასულიერო ლიტერატურაში გაელვებული სამიჯნური ეპიზოდები; საიდან ჩანს, რომ სასულიერო ლიტერატურის წიაღში იბადება ახალი ხედვა, ახალი ლიტერატურული რეალობა?
  - ✓ როგორი ეპიზოდები ჭარბობს ამ პერსონაჟების ხატვისას – სხვადასხვა სიუჟეტის მქონე მიწიერი თავგადასავლები თუ გმირის სულიერი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები?
  - ✓ როგორაა **ნარმოდგენლი** ამა თუ იმ ნაწარმოებში ხელოვნების დანიშნულება – ძემოქმედი (მწერალი, მხატვარი, არქიტექტორი) ღვთის ნების ბრმა აღმსრულებელია, თუ დამოუკიდებელი ხელოვანი, რომელსაც საკუთარი პოზიცია აქვს ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც?
  - ✓ რაში გამოიხატება პერსონაჟთა სულიერი ფასეულობები, რა ქმნის მათ **ლირებულებით სისტემას**, როგორ ესმით მათ უმაღლესი ადამიანური ლირებულებები – ჭეშმარიტება, თავისუფლება, მოყვასის სიყვარული, თავგანწირვა, ერთგულება, სიყვარული და ა. შ.

### 3. ვერნისაჟი

წინა თავში ჩვენ უკვე შევიძინეთ სახვითი ხელოვნების ნიმუშების მიხედვით ლიტერატურულ პროცესებზე დაკვირვებისა და ძირითადი მიმართულებების ამოცნობის გამოცდილება (გაიხსენეთ ფიზიკური და სულიერი კატეგორიების მიხედვით ანტიკური და ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებზე ჩატარებული კვლევა). ამჯერად გთავაზობთ:


- ქვემოთ მოცემული ნიმუშები დააჯგუფოთ იმის მიხედვით, თუ რომელია საერო და რომელი – სასულიერო ხასიათის;
- საერო ხასიათის ნიმუშების მიხედვით, რომელ ორ პერიოდს გამოყოფდით ხელოვნებაში? რით ჰგავს უძველესი (ქრისტიანობამდელი) ნიმუშები მოგვიანებით, სასულიერო ხელოვნების წიაღიდან ამოზრდილ საერო-სარაინდო შინაარსის ხელოვნების ნიმუშებს? როგორაა მათში ასახული ადამიანის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და, საერთოდ, ცხოვრებისადმი როგორი დამოკიდებულება იგრძნობა ამ ნამუშევრებში?



გილგამეში, ასურეთის სასახლის რელიეფი (ძ.წ. 713-705 წწ) ლუვრი



ბიზანტიური მონუმენტური მოზაიკა XII-XIII სს. მონრეალი.



გოგონა სტილუსით, პომპეი ჩ.წ. წ. 11 ს.



ალექსანდრე მაკედონელი, მოზაიკა, ნეაპოლი დაახ. ძვ. წ. II ს.



წმ. ეკატერინე, მეცნიერების მოქცევა 1480 წ.




6

ქრისტეს პრალდება პეტრეს, რაფაელი (1483-1520 წწ)



7

მამუკა თავაქარაშვილი,  
„ველხისტყაოსნის“ მინიატურა XVII ს.




8

ბერძნული ამფორის მოხატულობა  
ძვ. წ 340-330 წწ პარიზი, ლუვრი.



9

ეტრუსკული სამარხის ფრესკა ძვ. წ. 470 წ.




10

მათეს სახარების ილუსტრაცია 800წ.  
გერმანია




11

სომხური ხელნაწერის  
ილუსტრაცია დაახ. V ს.



12

მისტერიების ვილა პომპეიის გარეუბანში  
კედლის მოხატულობა დაახ. 79 წ



13

მისტერიების ვილა პომპეის გარეუბანში  
კედლის მოხატულობა დაახ. 79 წ.



14

გელათის ოთხთავი, XII ს.  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



15

რაფაელი (1483-1520), ფრესკა ათენის სკოლა 1509-1511 წნ. ვატიკანის სასახლე

ილუსტრაციებზე დაკვირვებისას შეგიძლიათ, ისარგებლოთ ცხრილით:

უძველესი ხელოვნების ნი- მუშები	სასულიერო შინაარსის ხე- ლოვნების ნიმუშები	საერო შინაარსის ხელოვნების ნიმუშები			
<i>N</i> (ილუს- ტრაციის ნომერი და დასახელება)	ეპოქის რო- მელი თავისე- ბურება ჩანს ილუსტრაციის მიხედვით	<i>N</i> (ილუს- ტრაციის ნომერი და დასახელება)	ეპოქის რო- მელი თავისე- ბურება ჩანს ილუსტრაციის მიხედვით	<i>N</i> (ილუს- ტრაციის ნომერი და დასახელება)	ეპოქის რო- მელი თავისე- ბურება ჩანს ილუსტრაციის მიხედვით

გადაიხაზეთ ცხრილი რვეულში და შესაბამის გრაფებში მოკლედ ჩანერეთ, ეპოქის რომელ  
თავისებურებას გამოხატავს ესა თუ ის ნიმუში? რა არის ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი  
და როგორ აისახება ეს ხელოვნების ნაწარმოებში?

15

## გავიაზროთ

1. როგორ აღიქვამდნენ გარემომცველ სამყაროს უძველეს ხელოვნებაში? ადრე ქრისტიანულში? გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში? მაგალითად, იგრძნობა თუ არა გარემომცველი სამყაროს მშვენიერება, ფერადოვნება? ადამიანთა სამოსში ჩანს თუ არა სწრაფვა კომფორტისა და სიმდიდრისადმი, რა როლი ენიჭება ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულების წარმოსაჩენად, ვთქვათ, სამოსის ფერადოვნებას, ფონად ასახულ გარემოს და ა. შ.
2. რა არის ადამიანის უმთავრესი დანიშნულება და რა ადგილი უჭირავს მას ამ სამყაროში? როგორ სცემს ამ კითხვას პასუხს უძველესი ეპოქის, ასევე სასულიერო და საერო ლიტერატურა და ხელოვნება (მაგალითად, რომელ ილუსტრაციებზე იგრძნობა ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების უპირატესობა და რომელზე – სულიერისა?
3. რით ჰგავს და რით განსხვავდება სხვადასხვა ეპოქის სახვითი ხელოვნების ნიმუშები ერთმანეთისაგან?
4. დააკვირდით ლაშტხვერის ეკლესიის ფრესკას. იმჯელეთ, რამდენად ბუნებრივად გეჩვენებათ ქრისტიანულ ტაძარში საერო ლიტერატურული ნაწარმოების, საგმირო-საფალავო ეპოსის – „ამირანდარეჯანიანის“ – ამსახველი ფრესკა? ვის ან რატომ შეიძლებოდა გასჩენოდა ქრისტიანულ ტაძარში საგმირო ეპოსის მთავარი პერსონაჟის ფრესკაზე გამოსახვის იდეა? ლიტერატურასა და ხელოვნებაში მიმდინარე რომელ პროცესებზე მიანიშნებს ეს ფაქტი? (თქვენი პასუხი შეადარეთ დანართში (დანართი 3) „1. დამატებითი საკითხავი“, მოცემულ სტატიას „საკვირველი ფრესკები სვანეთში“ (გვ.315)).



ლაშტხვერის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკა



## კომპიუტერთან

გთავაზობთ მოკლემეტრაჟიან ვიდეორგოლს ქართული მინიატურის შესახებ. ყურადღებით განიხილეთ ეს ვიდეორგოლი და იმსჯელეთ, რომელი მინიატურები შეიძლება მივიჩნიოთ სასულიერო მწერლობის და რომელი – საერო მწერლობის ილუსტრაციებად? რატომ?

<https://www.youtube.com/watch?v=pP1uPDZw56k>

#### 4. ლიტერატურული ექსპერიმენტი – ტექსტზე დაკვირვებით აღმოჩენილი უანრული თავისებურებანი

გაეცანით ლიტერატურულ მოზაიკაში მოცემულ ამონარიდებს და იმსჯელეთ:

- რა თავისებურებები ჩანს მოცემულ ტექსტებში და რატომ მივაკუთვნებთ მათ ქრისტიანობამდელ, ქრისტიანობის დროინდელ (სასულიერო) ან საერო მწერლობის კატეგორიას.

#### ლიტერატურული მოზაიკა

##### ლექსი ვეფხისა და მოყმისა (ხალხური)

მოყმემ თქვა, პირშიშველამა, შიბნ გავიარე კლდისანი,  
მოვინადირენ, დავლახენ, ბილიკნ ჭიუხისანი.  
შამამხვდეს კლდისა თავზედა ხორონი ჯიხვებისანი,  
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა, ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.  
შავვარდი ვეფხესა ნაწოლსა, დრონ იყვნეს შუალმისანი,  
ვეფხვი რომ ნამამიფრინდა, თვალნი მარისხნა ხთისანი.  
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი,  
კლდეები ჩამაინგრივნეს, შტონ დაილენეს ტყისანი...

##### ამირანი

(ხალხური)

სანადიროდ გამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი;  
ცხრანი მთანი გადიარეს, მეათენი ალგეთისნი;  
მინდორს კვალნი გაუკვლიეს, დანაჭლიკნი ეშმაკისნი<sup>1</sup>;  
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისნი.  
უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,  
გაუარეს გარეგურგვლად, ვერ იპოვეს კარი მისი.  
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა – მუხლი მგლისი,  
კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისი...

<sup>1</sup> დანაჭლიკნი ეშმაკისნი – ეშმაკის ნაკვალევი;

##### ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი (ნაწყვეტი)

ესე ნეტარი მამად ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპამთ-გან<sup>1</sup> დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისა-თა,<sup>2</sup> მწენე და ახოვანი და განთქუმული წყობათა შინა<sup>3</sup>, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა

<sup>1</sup> პაპათგან – პაპათაგან

<sup>2</sup> დავით კურაპალატი – დავით III დიდი, კურაპალატი, ადარნასე III-ის ძე, ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მის დროს გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი და გამოცოცხლდა ამ მხარის კულტურული ყოფა.

<sup>3</sup> განთქმული წყობათა შინა – ბრძოლებში სახელმოხვეჭილი.

და აგებულებითა გუამისახთა<sup>1</sup> და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისჯის-ყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისახთა კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი<sup>2</sup> კეთილად წინებულისა დავით კურაპალატისად.

ხოლო ვინახთგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისა გულსა მისსა მძაფრიად<sup>3</sup> აღეტკინა<sup>4</sup>, ყოველივე დიდებაი ამის სოფლისად<sup>5</sup> შეურაცხ-ყო<sup>6</sup> და ნაგვად შეპრაცხა და მონაგებნი და სიმდიდრე და განსუენება, მეუღლე და შვილნი თვალი და ნათესავნი და, რაოდენიცა რა არს ამის სოფლისად სრულიად მოიძულა და უგულებელს-ყო და მერმე კუალად თავიცა თვალი, სიტყვისაებრ უფლისა, და აღიღო ჯუარი მქართა თვალი ზედა და ფარულად ყოველთაგან<sup>7</sup> სივლტოლად იქუმია<sup>8</sup> და იჯმნა ყოველთაგან და მხოლო ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა. და რომელნი-იგიმა შინა ბრწყინვიდეს სათხოებითა მათ უამთა, – მამად მოსე და მამად გელასი, ამათ გამოუცხადა თავი თვალი და მათგან ფარულად კურთხევა მონაზონებისად მიიღო და უამ რაოდენმე ღუანლითა ძლიერითა მორჩილებასა მისთა თავი თვალი და ყოველი იგი მუნ მყოფი მოღუანენი განაკურვნა.

ხოლო ვინახთგან იწყო განცხადებად საქმემან მისმან, ნეტართა მათ მამათა ლოცვად მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანად მიპართა, რამეთუ ევლტოდა დიდებასა კაცთასა. და ესრეთ მთასა ულუმბოლესასა<sup>9</sup> მიინია და მონასტერსა ერთსა შინა უამთა არა-მცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუანლი ახოვნად თავსიდვა<sup>10</sup> და სხუანი უნდონი მსახურებანი<sup>11</sup> და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულნა<sup>12</sup>.

გიორგი მთაწმინდელი

XI ს.

### აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი (ნაწყვეტი „ამირანდარევანიანიდან“)

იყო ინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული<sup>13</sup> და განგებიანი, და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი: ედგა<sup>14</sup> ასი ავაზა და ექვსასი ქორი, თეთრი და მწყაზარი, ჰყვა სამი ათასი დიდებული. ორშაბათსა, სამშაბათსა და ოთხშაბათსა, ამას სამსა დღესა, უკმის<sup>15</sup> ათას-ათასი დიდებული და გასცემდის საბოძვარსა საზომისაებრ, რაცა ვის ჰევდებოდა.

ამას განსვენებასა და დიდებასა შინა იყვის სიხარული და გამოსვენება. ხუთშაბათსა, პარასკევასა და შაბათსა ნადირობდის და გაისვენებდის, კვირიაკესა დღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის და სამართალსა უზემდის ციხეთა, ქალაქთა და სოფელთა ყოველთა.

<sup>1</sup> შეუნიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისახთა – თვალ-ტანად მშვენიერი.

<sup>2</sup> საკუთარი – დაახლოებული, თავისიანი.

<sup>3</sup> მძაფრიად – მძაფრად, ძლიერად.

<sup>4</sup> აღეტკინა – აერთო, აეგზნა.

<sup>5</sup> დიდება – ამის სოფლისად – ამქეცენიური დიდება;

<sup>6</sup> შეურაცხ-ყო – არად ჩააგდო;

<sup>7</sup> ყოველთაგან – ყველასაგან;

<sup>8</sup> იქუმია – გამოიყენა, მიმართა; სივლტოლად იქუმია – გაიქცა;

<sup>9</sup> ულუმბოს მონასტერი – ძველი ქართული (ქრისტიანული) სასულიერო და მწიგნობრული კერა მცირე აზიაში, ბითითიაში.

<sup>10</sup> თავსიდვა – იკისრა

<sup>11</sup> უნდონი მსახურებანი – არასასურველი საქმიანობანი

<sup>12</sup> სიმდაბლით აღასრულნა – თავმდაბლად შეასრულა

<sup>13</sup> მორჭმული – წარმატებული, გამარჯვებული

<sup>14</sup> ედგა – აქ: ჰყავდა

<sup>15</sup> უკმის – აქ: იხმობდა



„ამირანდარეჯანიანის“ ერთ-ერთი  
ხელნაწერის ილუსტრაცია

ერთსა დღესა ბრძანა ნადირობას განსლეა. გავიდა და ინადირა სანადიროსა კარგსა. მოვიდა შინა, მხიარულმან დიდი პურობა გარდაიქადა და და მნახავთა მადლი უბრძანა, ვითა კარგთა სანადიროთა შიგან მანანა: ან, ჩემსა მზესა, წადით და ახლოს ნადირი მომინახეთო. წავიდეს მნახავნი და ეგზომი ნადირი პოვეს, რომელ ანგარიში არა შეეგებოდა<sup>1</sup>. ერთი ქურციკი ნახეს, რომელ რქანი ესხნეს<sup>2</sup> ოქროხასა ფერნი, თვალნი და ჭლიკნი<sup>3</sup> – შავნი, და მუცელი – თეთრი და ზურგი – ძონეული. შევიდა მნახავი და მოაქსენა მეფესა მითვე სახითა<sup>4</sup>, ვითარცა ენახა. გაეხარნეს მეფესა და უბრძანა დიდებულთა: ამას კაცსა საკვირველი ნადირი უნახავს, ან მისი უნახაობა ჩვენგან არ ეგების<sup>5</sup> და, ვინათეგან ესრეთ საკვირველი არის, მნებავს, რათამცა მთელი შევიპყრათო...

„ამირანდარეჯანიანი“ – XI საუკუნის საგმირო-სარაინ-დო ეპოსი. ქართული საერო მწერლობის ერთ-ერთი პირველი ძეგლი. ტრადიციით, მისი ავტორობა მიეწერება მოსე ხონელს.

### თამარიანი (ნაწყვეტი)

„თამარ-წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი,  
პირ-მცინარი...“  
„ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ლანვ-მწყაზარი,  
შუქ-მფინარი...“  
„ლერწამ ტანისა, საროსა ხისა მიმსგავსებულ  
ხარ განკვირვებულად,  
თავსა კლვად სდებდეს, ხვეჭით ეძებდეს, შემსა  
ნახვასა მიახლებულად...“

„თამარიანი“ – XIII საუკუნის სახოტბო თხზულება, რომლის ავტორად მიჩნეულია ჩახრუხაძე. სახოტბო პოემის მთავარი თამარ მეფე. თხზულება დაწერილი უნდა იყოს თამარის ზეობის ხანაში, ესაა ცალკეული ოდების კრებული. მათი გამაერთიანებული იდეაა თამარ მეფის, მისი მეულლის, დავით სოსლანისა და მათი ვაჟის, ლაშა-გიორგის ღვანლის ნარმოჩენა, რაც იმ ეპოქისათვის დამახასიათებელია და სხვა ქართულ თხზულებებშიც ჩანს.

<sup>1</sup> ანგარიში არა შეეგებოდა – ულევი, აურაცხელი (სათვალავი არ ჰქონდა).

<sup>2</sup> ესხნეს – აქ: ჰქიონდა.

<sup>3</sup> ჭლიკნი – ჩლიქები.

<sup>4</sup> მითვე სახითა – იმ სახით, ზუსტად ისე.

<sup>5</sup> უნახაობა ჩვენგან არ ეგების – არ შეიძლება რომ არ ვნახოთ.

ქართული საერო მწერლობისთვის დამახასიათებელი პროცესები მსოფლიო ლიტერატურისთვისაც ნიშანდობლივია, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებს ამ რუბრიკაში მოცემული მასალა.

„ვისრამიანი“ ძველი სპარსული სასიყვარულო ამბავია, რომელიც XI საუკუნეში გალექსა სპარსელმა პოეტმა ფახრადინ გორგანმა (გორგანელმა).

მალევე, XII საუკუნის I ნახევარში ეს ნანარმობები უთარგმნია ქართველ მწერალს სარგის თმოგველს.



### „ვისრამიანი“ (ნაწყვეტი)

იყო დიდი და მაღალი წელმწიფე ადრაბადაგანისა<sup>1</sup> და ყოველთა თემთა და ქვეყანათა მპყრობელი და დიდთა საჭურჭლეთა პატრონი. ჰქონდა ხორასანი, თურქისტანი, ერაყი, ადრაბადაგანი, ქოისტანი, ხვარაზმი<sup>2</sup>; წმელთა და ზღვათა პატრონი იყო და ყოველსა სპარსეთსა ზედა მორქმული. და მრავალნი წელმწიფენი ჰყვნეს სვანნი და შეუფრობელნი და მას უამსა შიგან მისი სიტყვისა უმორჩილო არვინ იყო. და ცეცხლისა მსახური იყო თვით მეფე და საკელმწიფო სრული. ესე წელმწიფე ქრისტეს მოსლვასა წინათ იყო და სახელი მისი შაპი მოაბად.

შაპი მოაბადის ცოლნი... იყვნეს: ჩინელნი, თურქი, ბარბარელნი, ბერძენნი, აზნაურისა ასულნი... ყველა ერთმანერთისაგან უკეკლუცე იყო.

ესვა მოაბად წელმწიფესა ძმა, სახელად რამინ. ესე რამინ იზრდებოდა და, რა მოინიფა, ამას იტყოდეს: არა არს პირსა ქვეყანისასა რამინისებრიო....ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახოდა; ძალად და გულად ვითა ლომი, სიფიცხედ ვეფხისაგანცა უფიცხესი; ცხენოსანი, მონადირე, მონავარდე, მოჭადრაკე, მხიარული, საწადისი, ძალისა წმისა ყველასი უებროდ მცოდნელი იყო; მშვილდსა მისა ვერვინ მოპზიდვიდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმდერდის<sup>3</sup>, ესრე რომელ ჭვრეტასა მისა შეექციან; მის გვერდით მომღერალნი და მსმელნი არად გამოჩნდიან; ამას ყველასა ზედა წყალ-ჯავარი, თუ სთქვა, იმასა აქვს ყოვლისაო.



### „ვისრამიანის“ თავფურცელი

<sup>1</sup> ადარბადაგანი – ასე უწოდებდნენ მაშნდელ აზერბაიჯანს.

<sup>2</sup> ხორასანი, თურქისტანი, ერაყი, ადრაბადაგანი, ქოისტანი, ხვარაზმი – იმდროინდელი სახელმწიფოები, რომლებიც მოაბადის სამფლობელოში შედიოდა, თუმცა ეს ტექსტი არ გულისხმობს ისტორიული რეალობს ასახვას.

<sup>3</sup> შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმდერდის – ვერავინ შეედრებოდა შუბოსნობასა თუ სხვა სარინდო ასპარეზიბებში.